დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯის მიერ „Front-end დეველოპმენტის“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ლევან მადათოვი
წევრები: დავით ბიტმალკიშევ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **406308687**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 10 მარტის №261661 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 24 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯში (ქ. რუსთავი, შევჩენკოს №5) „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებთან. დათვალიერებულ იქნა მატერიალური რესურსები. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

სასურველი კოლეჯმა უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდული გადამზადებას სწავლება-სწავლის მეთოდების, სტუდენტის შეფასებისა და სხვა მიმართულებებით.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 24 იანვრის № 59/01 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქ. № 5
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 7 მარტის №228499 გადაწყვეტილებით, 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და „საფინანსო სერვისების“ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება 40 პროფესიულ სტუდენტზე. კოლეჯი ასევე ახორციელებს ერთ პროფესიულ მომზადების პროგრამას „რეგიონული ტურისტული მეგზური”.

კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, შრომის ბაზართან ადაპტირებული, ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით. მისიის ფარგლებში შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის” თანახმად, კოლეჯს დაგეგმილი აქვს შრომის ბაზრისთვის აქტუალური და მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დამატება. 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, კოლეჯმა პროგრამის დაგეგმვისას გაითვალისწინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს მიერ 2024 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი, ასევე განახორციელა ვიზიტები რუსთავის საჯარო სკოლებში, ჩაატარა გამოკითხვა და მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ შემუშავდა მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი და წარედგინა კოლეჯის დირექტორს. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ბრძანება და სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებული მიდგომით განხორციელების შემთხვევაში - საბაზო განათლება. კოლეჯი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვას არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანების შესაბამისად.

2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. პროგრამის მიზნებისათვის გამოყოფილია (A და BC სასწავლო გარემო) 20 პროფესიული სტუდენტისთვის. ასევე ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისათვის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“.

2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის კოლეჯს განსაზღვრული აქვს 1 აუდიტორია 20 პროფესიული სტუდენტისათვის სადაც გათვალისწინებულია შემდეგი რესურსები:

- სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) 20 პროფესიული სტუდენტისათვის
- მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)
- 21 კომპიუტერი - პროცესორის ტიპი i3 - 6100, ოპერატიული მეხსიერება: DDR4 8GB - 2400hz, მყარი დისკი SSD Kingstone 240GB, 24 ინჩიანი დიაგონალის მონიტორით
- პროექტორი
- პრინტერი (კომბაინი)
- ფლეშ მეხსიერება
- დაფა

ასევე ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისათვის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მისი მიზნებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულების თანახმად, კოლეჯის დირექტორის ერთ-ერთი უფლებამოსილებაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება. შესაბამისად, პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ წლის 24 იანვრის № 59/01 ბრძანებით

2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

„Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული ა(ა)იპ პროფესიული უნარების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) „Front-end დეველოპმენტი“ საფუძველზე და არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი -) „Front-end დეველოპმენტი“ ასევე, 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის #170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში, აერთიანებს 6 ინტეგრირებულ ზოგად მოდულს ჯამური 30 კრედიტის რაოდენობით, 2 ზოგად და 10 პროფესიულ მოდულს ჯამური 58 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 88 კრედიტი. მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 118 კრედიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე აერთიანებს 3 ზოგად და 10 პროფესიულ მოდულს ჯამური 60 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია;
- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების და 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია.
- ადმინისტრაციასთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

„Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯში გამოყოფილია ერთი B/C (აუდიტორია №815) 20 პროფესიული სტუდენტისთვის, ერთი ლაბორატორია C გარემო (აუდიტორია №808) და სპორტული დარბაზი. თითოეული გარემო აღჭურვილია სათანადო მატერიალური რესურსით „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ინტეგრირებული მოდულისთვის შესაბამისი ლაბორატორია, „სპორტის“ მოდულისთვის გარემო სათანადო სპორტული ინვენტარით და სხვა). კოლეჯის მატერიალური რესურსი იძლევა პროგრამის იმიტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია, ჩუქების, მიღება-ჩაბარების აქტები, ასევე ვიზუალურად დათვალიერებულ იქნა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსი.

2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები 21 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, რომელთაგან 4 პროფესიულ მოდულებს გაუძღვება, 5 - ზოგად მოდულს, ხოლო 12 ინტეგრირებულ მოდულებს). მასწავლებლები შერჩეულნი არიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება განსახორციელებელ მოდულებს.

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებლ მოდულებს, მათი პირადი საქმეებით დასტურდება შესაბამისი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები. შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლეებლებს აქვთ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მათი შეფასების კომპეტენცია.

2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, რომლებიც ამავდროულად პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან. მათი ცოდნა და გამოცდილება დასტურდება როგორც კვალიფიკაციითა და გამოცდილებით, ასევე ვიზიტის დროს გასაუბრებით.

2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

კოლეჯის ბიბლიოთეკა პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური ან/და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო რესურსითა და ლიტერატურით. მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება შესაბამის პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია" განსაზღვრავს სსსმ პირების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა- სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც გაწერილია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შემოსავლების გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 7 პროფესიული სტუდენტით. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა

დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას. პროგრამის შეფასების მექანიზმი ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით განხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა.

2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

შედეგების ანალიზი დაწესებულებას მისცემს საშუალებას გაუმჯობესდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. შეამოწმე (C) - ჩატარებული საველე და სხვა სამუშაოების შედეგების განხილვა - გაანალიზება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და შეფასება, რაც ხორციელდება კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კოლეჯის პერსონალის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და დაწესებულების პერსონალის ჩართულობით;
- განავითარე (A) - გატარებული ღონისძიებების, მიღებული შედეგების შეფასებიდან გამომდინარე, ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და სწავლების ხარისხის გაზრდასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით, მოწმდება საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლის მუშაობის ეფექტიანობა, პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა გარე და შიდა ფაქტორები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

„Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია ორი სასწავლო გეგმა ავტორიზაციის დებულების გათვალიწინებით (ინტეგრირებით და ინტეგრირების გარეშე). თუმცა, კოლეჯი გეგმავს პროგრამის მხოლოდ ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებას. სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ მოდულებს არ აქვთ დაშვების წინაპირობა, მათი თანმიმდევრობა ლოგიკურადაა დალაგებული.

2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; სასწავლო გეგმით განისაზღვრება პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები.

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი სწავლის შედეგებით.

2.4.1.4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; პროფესიული სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

Frontendდეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში კოლეჯის ბაზაზე, თუმცა, დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს კერძო ბიზნესთან.

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯში ფუნქციონირებს უსაფრთხოების წესები, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების, პირველადი სამედიცინიო დახმარების და სხვა.) „Front-end დეველოპმენტის“ ვინაიდან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ არის მაღალი რისკის მქონე, პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოების ნორმებს არ საჭიროებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმები;
- პროგრამის მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- პროგრამის განხორციელების ინსტრუქცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური
კოლეჯში ფუნქციონირებს "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ ვერიფიკაციის მექანიზმი". დოკუმენტის თანახმად შეფასების პროცესი ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. კოლეჯს შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნულ კომპონენტებს. შერჩევითი მეთოდით გადამოწმდა ,,საფინანსო სერვისების" ერთ-ერთი მოდულის დოკუმენტაცია, შეფასების ინსტრუმენტები და ვერიფიკაცია-ვალიდაციის მექანიზმი პრაქტიკაში.

2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით უწყისის გაფორმების მომენტიდან. გადამოწმდა ,,საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საარქივო დოკუმენტაცია.

2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს, თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია.
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

03.04.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: